

572 /
1961/3

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



ბებია

ახალი, ტურე ჯაფარი,
ივანე ივანიშვილი,
და სხვ. ქართველი სრულიად
საბავშვო კაბარეტი

საბავშვო ჟურნალი "ბებია" და
3. ი. მამბერიის საბავშვო ჟურნალი
ორგანიზაციის დახმარებით

№ 8

ბებია
1961



პიონერები

ძ. ჭილაშვილი

ერთი ამბავი ატეხა თინამ უფროსი ძმის ბანაკში გამგზავრების დღეს, — მეც მინდა ბანაკში წასვლაო.

— ჯერ პატარა ხარ! — მოფეფრა მამა.

— შენ ხომ ბებოსთან მიმგზავრები! — შეახსენა დედამ და, როგორც იყო, დაამშვიდეს ახლუქუნებული გოგო.

და აი, დიდდღას მწუხანე კარ-მოდამოქ! ახლანამოსულ თინას ბებერი რამ გაუხვდა საზარუნად: ეს ეზო დაგავეო, ეს ბებოს ბოსტანში წაეშველეო. ახლა კი წყაროდან ცივი წყალი უნდა მოიტანოს და სულ სკუმ-სკუმით გადღიობინა ეზო. პატარა ხომ აღარ არის! შემოღამაზე სკოლაში უნდა წაიდეს.

წყაროზე მიმავალმა თინამ ბებოს ბაღის ბოლოზე მოფულესუც პიონერები დაინახა. არ ბარიანა. ღოკი ძირს დადგა, დოინჯი შემოიყარა და კოპებშეკრულმა შეუტრა უდნობებს:

— თქვენ, ვი, აქ რას აკეთებთ, ჩემი ბებოს ბაღთან!

პიონერებმა არაფერად ჩააგდეს თინას სიავკაცე და მუშაობა განაგრძეს. ვინ წერაქვით მარჯუობდა, ვინ — რით.

— თუ დავუძახე ბებოს, ნახავთ, როგორც დაგიფრენთი! — დაიჭაღინა ნირწამხდარმა თინამ.



ნახტი ვ. ჯანაშიას

— შენს ბებოსაც ვაგზარდებ, რომ გზას ვასუფთავებთ! — მოხედდა ღიმილით ბიჭუნამ და ერთ ადგილას მოაგროვა ჭეა-ლორლო.

— არაფერიც არ ვაგზარდებ! — უფრო გაკაპასდა თინა და მოგროვილი ქვეები ფეხით აქეთ-იქით მოჰუნტა.

25/3

— არა ვრცხვენია, გოგონი? აბა, ვე რა საქცილია! — საყვედურით მიუბრუნდა მეორე პიონერი. — ჩვენ ბანაკის პიონერები ვართ, გზას ვწმენდავთ და შენ კი ხელს გვიშლი!

— ბანაკი ხომ ქვიშებითაა ჩემი ძმაც იქ არის. როგორ მატყულებთ? — პირი იბრუნა თინამ, ღოკს ხელი წამოავლო და წყაროსაკენ დაეშვა.

— ამოდენა გოგოა და უფროსებთან ღამა-პარაკი არ იცის! — შემოესმა გოგონას პიონერების საყვედური.

თინამ წყაროზე ღოკი აავსო და მხარზე მარჯვედ წყაროდგა. აღმართს რომ შეჰყეფა, გაღმით ფეჭენარში უამრავ კარავს მოპკრა თვალი. კარვებზე წითელი ალამი ფრიალებდა. იქ მოფულესუც პიონერები რომ დაინ-

ხა, მიხვდა, აქაც ყოფილა ბანაკიო. ახლა რა-ღა პირთ გუაროს იმ პიონერებს! იფიქრა, იფიქრა, ღოგში გაძვრა, ბოსტნიდან ვადავალო, და ფიცარსა და ფიცარსა შუა თავი გაპყო. ბებერი ეცადა, ან წინ გამჭვრალიყო, ან უკან გამოსულიყო, მაგრამ გაიქვედა გოგო. მაშინ კი მომართა აგულასტერიო.

ტირილის ხმაზე პიონერები ღობეს მოაწყუნენ.

— ეს ის არ არის, წყლან რომ გვეჭებუბოდა? — იცნო თინა ერთმა პიონერმა და ფიცარს ასახსნელად ჩაავლო ხელი.

— ვეჭებუდ და რას დანებმარებოიან! — შეფიქრიანდა თინაკო და ტირილს მოუშატა.

— ნუ ტირი, გოგონი, ახლავე მოგეშველებით, — მოეფერებ პიონერები და თინა გზაზე გადმოსვენს.

გოგონამ მალღობის თქმა ევლარ მოაზერხა და პიონერებს ღოკი გაუწოდა:

— ცივი წყალი მიირთვიეთო!





ბ. ჩხაიძე

საბავშვო ბაღი სოფლის ბოლოში იგება. სახლს იქით მინდორი იწყებოდა. ერთ დღეს ეს მინდორი მანქანით ღრმად გადააბრუნეს. ტრაქტორზე კოდ-მეურნეობის ბრიგადირი შენიშნეს ბავშვებმა.

— ბიძა თელა!.. ბიძა თელა!..— გასძახეს ბრიგადირს. თელას კი მათთვის არ ეცადა: მოაბრუნებდა მანქანას ზედ საბავშვო ბაღის ლობუსთან, დაიჭუნებდა ტრაქტორი და თხრილს გადავლიდა. მაღე მინდორი მთლად გადაშავდა.

— აქ თურმე ბაღი უნდა გააშენონ!— აცნობა ამხანაგებს რეზომ. მზიამაც თავის დაქნევით დაუბასტურა.

— თქვენ საიდან იცით?— გაუკვირდათ ბავშვებს.

— თვითონ ბიძა თელამ თქვა!— მიუგოა მზიამ.

როცა თელამ მიწის გადაბრუნება გაათავა, აგროლომიც გამოჩნდა. მან აზომა აღმადარმა ნაბრუნები მიწა. ბავშვებმა ლობიდან შეამჩნიეს თანაბარ მანძილზე ჩასობილი პაღლები. ამის შემდეგ ბიძა თელასთან ერთად კოდმეურნეებმა პაღლები მოაძვრეს და ორმოები გათხარეს.

ერთ დღეს ეზოში გამოფიცებულმა ბავშვებმა საბაღე მიწაზე დაინახეს ბიძა თელა, რომელიც წკეპრის ტოდა ვაშლის ნერგებს გაჭრიდ ორმოებში რგავდა. შინ წასვლის ნაცვლად ბავ-

ნახატი რ. ხაშირაძისა

შეები საბაღე ნაკვეთზე გადავიდნენ.

— ეჰე, გვირტები მოფრენილან! — მივხადისა მათ თელა, მერე რეზოს მიმართა:

— ასწიე ნერგი, წვეროთი დაიჭირე, ორმოს შუაგულზე უძრავად გააჩერე. მზია, შენც მიენმარე!

ბავშვებმა ვაშლის ნერგი მარჯვედ დაუჭირეს თელას. მან კი ნერგს ფხვიერი მიწა შემოაყარა ფესვებზე. მიწას სასუქიც დაუმატა და შემოტკეპნა ნარგავი. ნერგს ქარის გასაძებლად ჭიკოც მიუღსო.

ამ დღიდან ბავშვები სულ თვალს ადევნებდნენ ახალშენ ბაღს. ერთხელ რეზომ ფარას ჩამორჩენილი წვერცანცარა თხა დაინახა ბაღში. დიდი აღიპოთი ატეხა. თხა გააძვეეს ბაღიდან.

ნერგებმა კვირტები გაშალეს. კვირტის შუაგულელებმა ამოიწყვირენ მწვანე ფოთლები. ბავშვები განახრებულნი იყვნენ. მაგრამ ნერგებმა რატომღაც მოიწყინეს...

— მიწა გამოაშრა თაკარა მზემ. სიცხეში დიდ ხეებსაც უჭირთ გაძებდა, — თქვა ბიძა თელამ.

— რითი ვუშვედოთ? — იკითხეს ბავშვებმა. თელამ ბევრი აღარ დააყოვნა. ცხენი საბიძარიში შეაბა. ზედ თოხი და ბარი დაყარა, ბავ-

შეებიანად კოფოზე მოეწყო და ბალისაკენ გასწია, არხიდან რუ შეიყვანა ვაშლის ახალშენ ბაღში. ნორჩ ნერგებს ძირებთან მიუგდო ანკარა წყალი და თქვა:

— ეს არის მაგათი შვედა!

მართლაც, სულ მალე ნერგები გამოცოცხლდნენ. რტობმა იხეთქეს, მაღლა-მაღლა აიზიდნენ.

— ერთი პატარა რუ ჩვენი საბავშვო ბაღის ეზოშიც გადმოიყვანე, რა!—სთხოვა ბიძია თედოს რეზომ.

მართლაც თედომ მოზრდილი კვადი საბავშვო ბაღის ეზოში შეაგდო. წყალი ბაღსებში შევიდა, გაიფანტა, აკამკამდა. რეზომ და მზიამ ამხანაგები დამწკრივეს, ბაღახში შევიდნენ და ყოიხნა დასცეს:

— წყალი მოდის, წყალი!

— რა ამბავში ხართ?—გამოეხმაურა მათ შორიდან თედო.

— ვიზრდებით! ვიზრდებით!—მწყობრად გაიძახოდნენ წყადში ჩამდგარი ბავშვები.

ვარსკვლავეთში

კოსმოსში კვავ გაფრინდა საბჭოთა ადამიანი. მაიორმა გერმან ტიტოვმა ხომადლით „ალმოსაველი—2“ ჩვიდმეტჯერი შემოუფრინა დედამიწას და კოსმოსში 25 საათი დაჰყო. ეს მანძილი თითქმის ორჯერი მეტია, რაც დედამიწიდან მთვარემდე არის.

სულ მალე ადამიანი იმოგზაურებს შორეულ პლანეტებზე: მთვარეზე, ვენერაზე და მათ მეცნიერულად შეისწავლის.

ვინ იცის, ჩვენო პატარა მკითხველებო, რომელი თქვენგანი იქნება ვარსკვლავეთის გმირი.





ლალ სალაპირიძე

მეტყუარი

კვიცი

უზლაპარი
 ემოხატა ცხენის ჯოხს.
 აჩუ!.. შენსას ჩემი სჯოლბს.
 — აჩუ!.. აჩუ!.. — თემური
 მიქრის თვადანთებული,
 თითქმის გაუტაცვნია
 ნიაგის მთიდან მოზერიღს.
 უკან დაჩა სახდი და
 მერე მთელი სოფელი.

უთხრა: — ტყესთან შემოვხვი
 კვიციზე შემჯდარ ონავარს. —
 ღელა ტყეში შევიდა,
 გზა შემოხვიდა გზაწვრილი.
 — გზაო, ხომ არ გინახავს
 ჩემი ცვიქი ყმაწვილი?

მაყვლის ბუჩქებს შიადგა:
 — ჰე, მაყვალა შეავთვალავ,
 მითხარ, ჩემი თემური
 კვიცმა ჩამოატარა?
 — ბევრი, ბევრი დაკრიფა
 ჩემი შავი მარცვლები,
 პირი ჩაიტკბარუნა,
 დაითხუნა ლაწვებიც.
 ხვალაც გამომიგზავნე,
 იმას დავენაცვლები.

ჯოხის ცხენი უფრად
 გახდა მართად კვიცად.
 ვინ თქვას ის სიხარული,
 თემომ რაც განიცადა.
 აყიჟინდა კაცუნა,
 სახრემ გაიტკაცუნა.
 — აჩუ. აჩუ!.. გატყენდი,
 გცემ, თუ სადმე გაჩერდი. —
 მიფრინავს თუ მიცურავს?!
 — აჩუ... აჩუ... კვიცუნა!... —
 აღარ ჩანან ბავშვები:
 გიგა, ზურა, თარიკო.
 მიქრის კვიცი, თემური
 მიქრის, მითლანგრეობს.
 აგერ უცბად შეტყენდა
 თემო კვიცი თუ შეიპაც.
 ... მერე დიდხანს არა ჩანს,
 გზა ხომ არსად შეწილია?..
 ევდამ შეწინებულმა
 ტიშკარს გადმოლაგა.
 ეძებს, უხმობს, თემური
 არა ჩანს და არა ჩანს!
 გზაზე ჩიტმა ჩიორამ,
 ჩიტმა ჩიტბატლნამა

— ჩაიქრდა კვიცითა,
 მეტი არა ვიცი რა! —
 ღელამ ცოტაც იარა,
 ბევრი იდარდინა.
 გზად შემოხვიდა ვაშლის ხე,
 პანტა ვაშლი პატარა.
 ევდამ ჰკითხა: — თემური
 კვიცმა ჩამოატარა?
 — კვიცმა ჩამოატარა
 თემო ენასხარტადა.
 აქ გაჩერდა ბიჭუნა,
 ერთ ხანს შემომაჩერდა.
 ამოვიდა ცოცვითა,
 მერე ძვიღსლა მომციღდა.
 უბე ვაშლით აივსო,
 ვაშლი არ დამიწუნა,
 ამ გზას გადაუხვიდა.
 გააბუნა კვიცუნა. —
 ევდამ ცოტაც იარა,
 ბევრი იდარდინა.
 გზაწვრილს გადაუხვიდა,
 ტყე დიდა, უხვიდა.

შენთვისაც კი წაიღო
 ჩემი შავი მარცვლები.
 სად წავიდა კვიცითა,
 მერე არა ვიცი რა! —
 ევდამ ცოტაც იარა,
 ბევრი იდარდინა.
 ცოტა კიდე ითმინა...
 აგერ ხეზე თრიოინა!
 ევდამ თვადი მოპკრა და
 შეეკითხა: — თრიოინავ,
 ჩემი თემო თუ ნახე,
 მითხარ, ხომ არ იტრია?..
 — არა, კი არ იტრია,
 დატყენა დამიპირა.
 ხეზე მივლოც-მოვლოცდი,
 ორჯერ პანტა ოც-ოცი
 მესრლდა და მესრლდა.
 განა მომახვედრებდა?

ცრემლებს მიჰყვა კვადაკვად,
გბა-გბა ცრემლი ეყარა.
უცებ ბუჩქთან მტრირაღ
თემოს გადაეყარა.

— ედა!... — თემომ შეჰყვირა.
— შვილო!... — ედა გაქანდა.

ედამ განა დატუქსა,
განა აუქაქანდა.
ჩაეხვივნენ ერთმანეთს,
ერთურთს ცრემლი მოსწმინდეს.

კიდევ ცოტა იარა,
ბევრი იდარდინა.
შეაჩერა ედელი
ნამიანმა ბაღახმა.

უთხრა: — ყველას გვახარებს
ტყეში შენი დანახვა.
აქ დაიბნა თემური,
ამ ტყეს თავმიცემული.
სახლში წასვლა მინდაო, —
იტრია და იტრია...

გავურბოდი, ხანდახან
მაინც მომახედებდა!
მოთხუნილი პირითა
იქით გაიჯირითა! —
ედამ ცოტაც იარა,
ბევრი იდარდინა,
ნაკადულს რომ მიადგა,
შიშით უთხრა ნაკადულს:



— ნაკადულო, შვილს ვეძებ,
დიღის მერე დაკარგულს!..
— მშვიდად იყავ, მშვიდადა,
გამახარა დიდადა.

ამ ტყეს თავმიცემული,
ჩემთან იყო თემური.
დათხუნილი თავ-პირი
მაყვირთა და მურითა
გაიბანა ჩემი წყლით,
შესვა სიხარულითა.

მერე იქით გაჰკურცხდა
იმ დამაბი კვიციტა! —
ედას ცრემლის კურცხადი
თვალზე აუციმციმდა.

უცებ საღლაც მაღლიდან
გვრიტმა დაიგვრიტინა:
ჩემი ედა მინდაო, —
ბიკმა მორთო ბლავილი.
ჩვენ დაგვტოვა აქა და
სულ ცოტას თუ გაივლი,
აქვე სადმე იქნება,
ცრემლს კვადაკვად აფრქვედა
ჯოჯის ცხენით წავიდა,
შორს ვერ წავა აქედან! —
ედამ ცოტაც იარა,
ბევრი იდარდინა.

— პატარა ხარ, ედიკოს
ჯერ არ უნდა მოსციდე! —
თემო ედას დაჰპირდა
აღად-მართად ფიცითა —
შორს არ წავა არასდროს
იმ თავნება კვიციტა!

ნახატი ლ. ლანდლიასი



თ. ნალაიძე

ნახატები თ. სამსონაძისა

ჯერ შრომა, მერე ხტომა

პიესა თეატრის თეატრისათვის

(თათბი. თეატრის წინა მხარეს დგას საწერი მაგიდა. გვერდით ჰქილია დაფა, მარცხნივ—რეპროდუქტორი. ფარდის ახდისას რადიო გადმოსცემს საცეკვაო მუსიკას. გოგლა ჯოხით დგას)

გოგლა— ყურადღება! ყურადღება! ვიწყებთ წარმოდგენას! ახლა გამოვა გაწვრთნილი ძაღლი „ტუგო“ და გიჩვენებთ საუკეთესო საცირკო ნომრებს. ტუგო, მოდი აქ! აბა, უჩვენე ბავშვებს, როგორი ცეკვა იცი. ჩქარა! დადექი! (ძალი დგება უკან ფეხებზე) აი, ასე! აბა, დავიწყეთ! ტრალა-ლა-ლა, კიდევ! კიდევ! ჰამ! (დღეშვება თათებზე).

ტუგო— აბა, ნუ ზარმაცობ! ტუგო, ალე! (ძალი ცეკვავს) ლა-ლა-ლა... თათები მღლდა... ყოჩაღ! ასე! გამიგონე და კარგი ჯამბაზი დადგები ჩემს ხელში... ლა-ლა-ლა... ახლა ჯოხზე ვაღახტი, აბა, ალე-ჰომ! კიდევ! (ტუგო კულს აქნევს, წამტუნებს) რაო, შეპარს მთხოვ? ჰოოო, მართალია, გეკუთვინს! (ცდახს) დედა! ტუგოს შეპარი უნდა, კარგად იმეცადინა. მე კი კომშის მურაბა ამომიღე.

დედა— (შემოდის) აი, ტუგოს შეპარი, რადგან კარგად იმეცადინა. შენ კი რისთვის მოითხოვ მურაბას? გაკვეთილებისათვის ხელიც არ გიხლია.

გოგლა— ტუგო ხომ კარგად ვამეცადინე.
დედა— გაკვეთილებსაც შენს მაგიერ ტუგო მოამზადებს?

გოგლა— ტუგო კი არა, მე თვითონ... კინოში გამიშვებ?
დედა— გაგიშვებ, თუ გაკვეთილებს დროზე მოამზადებ.

გოგლა— ჰე, კინომდე ჯერ რამდენი დროა! მოვასწრებ. ახლა რომ ჩაუფუჯდები, ყველა გაკვეთილს ისე ჩავარაკრეკებ...
დედა— ჰო, თუ არ ტრამახობ, აბა, ენახოთ! (გოდის)

გოგლა— ტუგო, ახლა კი გამეცალო, ნუ მიშლი. სად არის სახელმძღვანელოები... არითმეტიკა... აქ არის. რა მოგვცა მასწავლებელმა, არ მახსოვს. გაყოფა თუ გამრავლება? მგონი, საღაც ჩაწერე, არ არის... გრიპა! დამაფიწყდა. (მაყურებლებს) თქვენ ხომ არ იცით, რა გვაქვს გაკვეთილად არითმეტიკაში?

მაყურებელი— დღიურში გექნება ჩაწერილი!
გოგლა— ჰო, მართლა, დღიური სულ გადამაწიფდა. ახლავე მოვნახვ. (ფურ-

ცლავს) მაგალითი ცემეტი. ოცი გავამრავლოთ ორზე: ჩაწეროთ რვეულში. სდექ! მასწავლებელმა გვიჩიხა, ჯერ დაფაზე გამოიყვანეთ, რომ რვეულში არაფერი შეგცდეთო. (წერს დაფაზე) $20 \times 2 =$ იქნება... იქნება... (მაყურებლები უკანახებენ) ბავშვებო, ნუ მიკარნახებთ, მე თვითონ! იქნება... იპ, ეს რა დიდი საფიქრებელია, (წერს 50). აი, რამდენი იქნება!

მაყურებელი-
გიგლა-
ტუგო-
გიგლა-
ტუგო-
გიგლა-
ტუგო-
გიგლა-

არ არის სწორი! ორმოცი იქნება და არა ორმოცდაათი.
 ეპ, იტყვიტ, რათა!.. ორმოცი, საიდან იქნება ორმოცი?
 (თავს ამოჰყოფს, გაჯავრებული იღრინება) რ-რ-რ-რ-რ, ჰამ!
 ჰეი, ბიჭებო, ტუგომაც იცის ანგარიში. ახლავე გაჩვენებთ. ტუგო! მიპასუხე: რამდენი ყური გაქვს?
 ჰამ, ჰამ!
 სწორია. ორი... ყოჩაღ, აბა, ახლა მითხარი: რამდენი კული გაქვს?
 ჰამ, ჰამ, ჰამ!
 (ხარხარებს) რამდენი, რამდენი? სამი? (დარიგებით) ჯერ უნდა იფიქრო და მერე მიპასუხო. აბა, კარგად მოიფიქრე, რამდენი კული გაქვს?

ტუგო- (უკან იხედება, ცდილობს, დაინახოს თავისი კული) ჰამ!
გიგლა- სწორია. ხედავთ, რა ჰკვიანია? ეს მე ვასწავლე... ჩემო ტუგო, ახლა წადი, ხელს ნუ მიშლი. (აიღებს წიგნს) ჰო, მამ აქ დაწეროთ ორმოცი... (ჩაიხედავს წიგნში) ათი გავამრავლოთ ოთხზე. ეს უკვე ადვილია. (წერს დაფაზე) $10 \times 4 = 30$ (მოიხედავს მაყურებლებისაკენ. წაშლის 30-ს და დაწერს 50-ს. წაშლის 50-ს და დაწერს 60).

მაყურებელი-
ტუგო-
გიგლა-

ორმოცი იქნება! ორმოცი!
 (გაბრაზებული) იქაც ორმოცი, აქაც ორმოცი, ყველგან ორმოცი, როგორ იქნება? ნეტავ რას ხარხარებთ, ცოტათი შეეცდი. მე შეგონა, ოთხი უნდა გავამრავლოთ ათზე-მეთქი... ეს კი რაა, ათი გავამრავლოთ ოთხზე, ეს სულ ადვილია... ეპ, თქვენი თავი არ მაქვს (წერს) $10 \times 4 = 40$ (ჩაიხედავს წიგნში) კიდევ ერთი მაგალითი: ოცი გავამრავლოთ სამზე. (ეშმაკურად) ეპე, ახლა კი მიგიხვდით ოინს. ყველა ეს მაგალითი ორმოცზეა. ასეც დაწეროთ (წერს $20 \times 3 = 40$). ასე!..





უპ, დავიღალე, ამდენი მეცადინეობა სად გავგონილა? ბავშვებო, მოდით, საპნის ბუშტები გავუშვათ! დაიცადეთ, ახლავე გაჩვენებთ, როგორი ბუშტების გაბერვა ვიცი, (კულისებიდან მოაქვს ჯამი საპნისი წყლით. იღებს ჭალადის მილს) უყურეთ, აჰა! ხედავთ? (გაუშვებს) გაფრინდა... გაფრინდა... დაიჭით, ბიჭებო, დაიჭით! ოჰ, გასკდა! ახლა კიდევ უფრო დიდს გავებრავ... ნახეთ, რა ლამაზია... ცისარტყელას არა ჰგავს?!

ბუშტო—
ღიღა— (კულისებიდან) გიგლა, მეცადინეობ, თუ ტუგოს ეთამაშები?

გიგლა— ვაიმე! (მომალავს ჯამს, სტაცებს ხელს წინს) ვმეცადინეობ, იგავ-არაკს ვიზებირებ! „ჭრიკინა და ქიანტველა“: დაჭრიკინებდა, დახტოდა ქრიკინობელა პატარა და უშრომ-უზრუნველობით მოეღი ზაფხული ატარა...

მთელი ზაფხული ატარა, ჰო, ატარა, მერე? (დინახავს ჰაერში ბუშს) ბუში! ერთი ამ თავხედს დამიხედეთ, დაფრინავს არხენინად და ბუშის!

(აიღებს ტყაქუნას) ახლავე გიჩვენებ სეირს. აგრე, ნუ ბუში! ნუ უშლი ადამიანს მეცადინეობას. (კვლავ აიღებს წიგნს) დაჭრიკინებდა, დახტოდა ქრიკინობელა პატარა... და უზრუმ-უშრუნველობით... ფუი! რას ვამბობ! და უშრომ-უზრუნველობით მთელი ზაფხული ატარა... ატარა... მაგრამ ბოლო დროს ზამთარმა... (თეჯირის წინა საგულში იხსნება ფანჯარა, ფანჯარაში გამოდგება ვასიკო).

გიგლა— გიგლა-უ-უ!
ვასიკო— რა ვინდა, ვასიკო?
ვასიკო— კინოში არ მოდიხარ?
გიგლა— ჯერ რა დროსია!
ვასიკო— ხუთზე არ იწყება სენსი? დროა.
გიგლა— ვაიმე, მე რომ გაკვეთილები არ მომიმზადებია?
ვასიკო— რაღას უტლი? მე უკვე მოვრჩი.
გიგლა— ცოტაღა დამრჩა, ერთ წუთში მოვათავებ, დამიცადე.
ვასიკო— ყოველთვის შენი გულისათვის ვავიანებთ. აბა, ჩქარა! (გაბრუნდება).
გიგლა— (რჩეულს დასტაცებს ხელს) სუფთა წერა—გადაიწერეთ სუფთად შემდეგი წინადადებანი: (წერს) — „მრგვალი

ბურთი“... „ცივი წყალი“... „მწარე პილილი“... (ამოიხორებს) ვაიმე, რამდენია კიდევ! (წერს) „მეავე პანტა“ „ცხელი...“

- ვასიკო**— (ისევ გამოყოფს თავს ფანჯარაში) გიგლა!
- გიგლა**— რა იყო, რა?
- ვასიკო**— უკვე ათი წუთი უკლია ხუტს, ვეღარ დაგიცდი.
- გიგლა**— დამიკადენ, თუ ხათრი გაქვს, რა!.. აი, ამ წუთში მოვათავებ... მხოლოდ ნაყინი და უთოლა დამრჩა.
- ვასიკო**— კინოც სკოლა ხომ არ გვონია, დაიგვიანებ და აღარ შეგიშვებენ...
- გიგლა**— (ნაწყინი) კარგი, წადი, წამოგეწევი. (დაფაკურდება) ვაიმე, ჩქარა... რაზე შეეჩერდი? აი, აქ... (განაგრძობს წერას) „ცხელი ნაყინი“, „გემრიელი უთო“... „წითელი...“ ვაიმე! ეს რა დავწერე! გემრიელი უთო!. ვაიმე, რაღა ვქნა?! (სლუკუნებს) აააა...
- ბუკო**— (გიგლას მკლავებზე ამოიყოფს თავს). ჰამ, ჰამ, რ-რ-რ-რ!
- გიგლა**— მოშორდი! სულ შენი ბრაღია, ისეთი ჩაფლარო რო!.. (მუშტს მოუქნევს. უტაბედად მელანი რეველზე დაეღვრება. გიგლა აღრიალდება).

- დედა**— (შემოდის) რა ვატირებს, რა ამბავია? ეს რა გიქნია?
- გიგლა**— მელნის ლა-ა-ქააა...
- დედა**— ლაქა კი არა, მთელი ტბაა. რა გავწყობა, დაჯექი და თავიდან გადაათვთრე სუფთა რვეულში.
- გიგლა**— ვაიმე, როდისლა მოვასწრებ.
- დედა**— სხვა ვაკვეთილები მზადა გაქვს? ან-გარიში გამოიყვანე?
- გიგლა**— (ტირილით) ცოტალა დამრჩა ...
- დედა**— იგავ-არაკი დაიზეპირე?
- გიგლა**— ბოლომდე არა...
- დედა**— მაშ, რას აკეთებდი ამდენ ხანს? ტუგოს ეთამა შებოდი? ბუზებს დასდევდი, საპნის ბუშტებს უშვებდი? ახლა იჯექი და დაძინებამდე სულ იმეცადინე!
- გიგლა**— (გაბუტული) კინოში?
- დედა**— კინოში ვასიკო წავა. ვასიკო ყოველთვის ღროზე ამზადებს ვაკვეთილებს და მერე მიდის სასიერონოდ. ვასიკომ კარგად იცის, რომ ჯერ შრომა უნდა, მერე კი ხტომა.

ფ ა რ ა



მეგობარი



იტყვიან, ერთხელ თუ შეგეშალა, შეცდომად არ ჩაეთვლება.

ალბათ მართალია, მაგრამ ანგარიში ასე არა ყოფილა: მაგალითების გამოყენება ვიცო, ოღონდ ერთხელ გამრავლებაში თუ მიმატებაში შეგეშალა. მასწავლებლებმა შეცდომად ჩამოთვალა და ნიშანი დამსალი. თავი ვიპართლე: შეშინდა-მეთო, მაგრამ პატივცემულმა მასწავლებელმა ასე მიპასუხა: შეშალა იგივეა, რაც შეცდომა. ეცადე, აღარ შეგეშალავო.

საბავშვო მუსიკალური კლასი

დღემან სიტყვის პატრონი უნდა იყოს.

როდემ პატივსანი სიტყვა მოხდა, რომ სსს-ს პირად მოედანზე ველისიხედით მოვალ და შენც გაიბოვიებო. ფერად მოედანზე მართლა მოვიდა, მაგრამ თავი მოაკაუნა, ვითომ ვერა მხედებდა. გული მომივიდა. ფერადმ ზომ პატივსანი სიტყვა მომცა? მაშ თავის სიტყვას რომ არ ასრულებს, პატივსანი? არა! და არც კარგი ამხანაგა, დახეირნობს ველისიხედით და ველს მამჩნევს. მე კი უველას ვამჩნევ, თუნდ ველისიხედით მჭონდეს, თუნდ აი, და მიცემულ პატივსანი სიტყვას ყოველთვის ვასრულებ.



შვილობა ხალხებს სჭირდება, იმი ხალხებს ანადურებს.

დღემან არ ციციდი, რა იყო მშვილობა. ახლა უამე ვიცო, რაც არის. ეს არის ჩვენი ჩვეულური ცხოვრება. მამა სამუშაოდ მიდის, დედა სანოვადზე ზრუნავს, საცემდს ამზადებს. მე და ჩემი ძმა სკოლაში დავდივართ. უველადური გვაქვს, არაფრის არ გვეშინია. იმი არ მამოსხვს,

მეგობარი

რადგან ათი წლისა ვარ, დედა იტყვის ზოლმე, რომ ომანიბამ ცხოვრება გავცემწარია. პირველ მსოფლიო ომში დედის მამა დაღუპა. მეორე მსოფლიო ომში ძმა მოკლეს. მისმა ოჯახმა დიდი გატარება გამოიარა. შიმშილობდნენ, განსაცემელი არ ჰქონდათ, არხად წასვლა არ შეეძლოთ. ომის დროს ყოველ დღე დაომბების მოლოდინში ვიყავითო. დედა იტყვის ზოლმე, ხალხმა ახლა კეთა ისწავლა, ომს აღარ დეშვებს, მშვილობა სახელად დამწარდებაო.



დღეს, სავე გატყდა, მეც ძირს ვაღმებოდი. რა შექნა? მე თვითონ ზომ ვერ შევცაივებდი. ვარჩე მამისთვის ვამეცხლა, ვიარე ამას თვითონ გაეგებდა. წყვილი და მართლაც უველადური ვუთხარი. მამა ძალზე გაუკრძა, დედამ კი სახა-ბაზროს ოთახში შეგვგლო და კარები მომიკეტა. უარი მოვკლი, მამას რომ უთხრა: ყოველ შემთხვევაში, ბავშვმა არაფერი დაგიბოლა, მოვიდა და სიმართლედ გიბოხარო.



მეგობარი

გულადილი ადამიანი თავს არ დაძებნენ, სიმართლეს იტყვის.

მამს კარგი ველოსიპედი აქვს. მინდოდა სავე მესინჯა, — მაგარი ჰქონდა, თუ არა. შევეკუე და ჩვენი სახლის კედელს პირდაპირ დავაუკაბე. სავემ გაყოლო, ბოჩისდასაც არაფერი დამართია. მხოლოდ დავაუბების დროს ცბილები დაშტაკაუნა. მეორე ჩარმ დავაუკაბე კედელს ჩარმ ვაღმებოდი. რა შექნა? მე თვითონ ზომ ვერ შევცაივებდი. ვარჩე მამისთვის ვამეცხლა, ვიარე ამას თვითონ გაეგებდა. წყვილი და მართლაც უველადური ვუთხარი. მამა ძალზე გაუკრძა, დედამ კი სახა-ბაზროს ოთახში შეგვგლო და კარები მომიკეტა. უარი მოვკლი, მამას რომ უთხრა: ყოველ შემთხვევაში, ბავშვმა არაფერი დაგიბოლა, მოვიდა და სიმართლედ გიბოხარო.

საბავშვო მუსიკალური კლასი

ვერს წყვილი და მეტი ველო.

ასში ყოველდღე გავლდენ დავალებას: ანგარიშიც, მართლწერაშიც, ზოგჯერ უნდა დავბატოთ, ან ბუნების კარდომ ჩაიმე ჩაეწეროთ. ანგარიშიც ერთობ მაგალითს გამოვიყენებ, ხატვაც მოვიარს: მხოლოდ მართლწერაში მეცაივებოხას ძილის წინ შევედგები ზოლმე და ბუნებისმეტყველების დავალებასაც ძილის მოკლედ ვწერ. მაგრამ საზონა დავალებას ზომ მანც ვესრულებ. ჩვენები არ თითქმის არა-უცრებენ, აკაბებს დავალებას: "ხუთჯერ მანც მკითხავს დედა, „საზონა დავალება ზომ არ დავაწერედე?“ გამასხენებს ღიღედა. „მარჩვე შენი დავალება“, — მეუბნება მამა, სიმასხურდენ მოცა თუ არა. ისე ვამოდის, თითქმის პატივცემული მასწავლებელი საზონაო დავალებას მე კი არა, მთელ ჩვენს ოჯახს აძლევდეს. რომ მინდოდეს კიდევ, საზონაო დავალებას ვინ დამავიწყებს!



ზრდილობიანი

„ზრდილობანი უნდა იყო!“ — ფიტკას ვასხენება ზოლმე დედა.

ზრდილობანი უნდა იყო, მაგრამ როგორ? — ფიტკას დედა ვიტკას ვეშხენება მალე მივიცა. ვიტკას ქუჩაში პატივცემული ბიძია დღემანა, ახლა უნდა თავი დავუქარა! — გულში ვიგოქრე და მართლაც თავი დავუქარა. ბიძამ გაუღიბა. ორვე ნასამოცემი დარჩა. შეუადღისს ვიტკას ბრინჯისთვის მალაზიონა შევიცა. მალაზიონდენ ერთ ზღმს კარებში გამოსვლა უნდოდა, ორვე ხელში ჩანთები ექრია. ვიტკას უტებ მიიჩინა და კარი გაუღო. „რა კარგი ბუკი ხარ, ვმადლობ!“ — გაუცინა დედა. ვიტკას დედასთან ერთად ატკობუსით მიდიოდა. ატკობუსში მოხუცო ქალი ამოვიცა. ვიტკას წამოხდა და თავისი ადგილი დაუთმო. მოხუცმა დედამისს უთხრა: რა ზრდილობიანი შევილი გელოდითო! დედამ გაიღიბა და კმაყოფილებით გადახედა ვიტკას.

ჩემი ბავშვიანი თარგმანი კლასი მუსიკალური



ყვავილასის ოსვადი

ნახატები გ. არინიშვილისა

ლ. პალაჭოკია

მცხეთაში უოფილნართ, პატარებო? იგი სულ ოც კილომეტრზეა თბილისიდან დაპირებული.

მცხეთიდან რომ დაბრუნდებით, გვეგონებათ, ერთი დიდი, კარგი წიგნი წაიკითხეთ—იმდენი სანასობაა ამ მველისძველ ქალაქში.

არ დაივიწყოთ და მცხეთაში ჰაზა მიხეილიც ინასულეთ. მზე და ჰაზა ერთად დივიძებენ, ერთად იწუებენ შრომას. ბაღში შესვალთ და ჰაზა მიხეილი უკვე უკვავილებთან დგას სასხლაგი დანითა და სარწყავით სეღში. განა გამოჩნება რომელიმე უკვავილის ძირი, არ დახედოს, წვალი არ აპუროს, ფესვი არ მოუსინჯოს? უსარმაზარ უაჩიოებსაც კი ნახვთ აქ, კოკრიდან დაჭმუწული კაბით რომ გამობრძანდებიან სოფელ და მხის სხავებით იუთოყუენ წითელ ტანსაცმულს.

მიხეილ მაშულაშკილი თითქოს უკვავილებითსივისასა განილი: მკედარი, გამხმარი, გალასკდები უღორტიც კი მის სეღში ცოცხლდება, ამწვანდება და კოკორს კოკორზე გამოიღებს.

კვალზე ფრთხილად ირსკვიან სუშულები და ცვარნამს ხარბად სვამენ.

ეს რა ზღაპრული მისაკება! ნახეთ, როგორ აუწყვითა ღამაში თავები—თითქოს ცნობისმოყვარე ბაფთიანი გოგონები თითის წვერებზე შემდგარან და მიეღლი ქვეწინის დანახვა სურთ.

მაკრამ რომ იცოდე, როგორი მხეილი გასარდელია მისხაი. გინასხუთ მათი ჩითილი? ჰაზა მიხეილს მიწიან უუთებში ვარისცანებოვით ჩაუშვრივებია ჰაწია დივები. აი, თქვენ რომ ნეკზე ფრჩხილი გაუთ, იმაზე პატარები. დროზე წვალით, დროზე მზეთ, —თხოვლობენ დივები. სამთრობით, როცა ჰეინჯუს და გარეთ

ცივა—ღამე უნდა ადგეს ჰაზა, სათბურში დუშელს შეუკოოს. უკვავლებს რომ შესცეადეთ, დაჭნებიან და გაიენებინან.

ჰაზას ქალიშვილი, უკვე შეტვადარავეული დეიდა ჰელო სათბურში დუშელის გახურებას დაასწრებს სოღმე მამას. გარეთ კი ცივა, ქარი ქრის, თოვლის კორანტელია...

— შრომა თუ არ გიკვარს, ისე ვერაფერს გახდები, —ამბობს სიტყვაპვირი ჰაზა მიხეილი.

ჰაზას ბლანი უკვარს თავისი საქმე და იმიტომაც ჰეგავის მისი წაღვიტიც ასე ღამაზად.

ასლა სათბურიც ნახეთ!

კიბებთან, საესზე ქართული ქილები აწყვია. აქაიქ კედლებზე ჰეილია თისის ქოთნები ნახი, ნაწნავგაღმომხელებული უკვავილებით. ჰაწია ურეშე ჰურიც გაკორებული. ჰურიდან მუევალი აბრიალებს მავ თვალებს.

ეს რა საამო სუნია? აქ ფორთოხლიც ჰეგავის თურმე. აბა, ზემოთ აისეღეთ? სათბურის თალი ჩაის ვარდს დაუფარავს. რა თავომწონედ იეურება უკვავილების დედოფალი! წითელი ვარდები კი ქვემოდან შესციდინებენ. ეოველი მთიგანი გახარებული, —ჰაზა-ნაქება სიცხემიცი უხვად რწყავენ მათ.

მიოღ დღეს ფუსფუსებს ჰაზა მიხეილი ბაღში თავის ქალიშვილთან ერთად და დაკოკრილი სეღებითი სასწავლებლს ასდენს.

საღამოს კი, როცა მზე მოეფარება ჩვენს ლურჯ მიოებს, უკვავილები მიიძინებენ და ფურტიგების ზუსუნიც შეწყდება. სვალენდელი შრომის მოღოდინში მამაშვილიც ისვენებს.



რაკეტა

ი. სიხარულიძე


რაკეტა თუ არა გაქვს,
ცაში გზებს თუ არ ვიცი,
როგორ გინდა გაფორინდე
მარსზე ანდა მთვარეზე?

გადავწყვიტეთ ბავშვებმა
რაკეტების გამოება!

შევგროვდით და რაკეტებს
პველა ერთად ვაკეთებთ.

აი, ერთი რაკეტა
უკვე მზად გვაქვს, გაეთლა!
კაცმა რომ თქვას მართალი,
ის ჩამოჰგავს ფრანს, ერქანს,
მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ,
მას „რაკეტა“ რომ ერქვას!

თანხმა ვართ სუყველა,
ერქვას, მერე რა უშავს!
და რაკეტა მთვარეზე
ჩვენმა ჯგუფმა გაუშვა.



მეუროვა

ს. ლიხაშიძე

ხელთ უპირავს დიდი ცოცხი
და ხარწყული წყალით სავსე,
ჩვენი ეზოს სისუფთავეს
ძია ალი იცავს ასე.

მას შველიან პატარებიც—
გივი, რეზო, ნანა, მზია,
დიდი არის ჩვენი ეზო,
სუფთაა და ლამაზია.



სამხრეები

ზ. შარაზადიშვილი

ვიას მამა მფრინავია,
მლიერ შუენის სამხრეები,
„რა ლამაზი ვაჟები“, —
იბახიან მნახველები.

ვიას ეს რა ვმართება,
ამბავს გეტყვით ახალთახალს,
ფიქროლს, ყველა მფრინავია,
ვიასე სამხრეს დაუნახავს.

„მეც მფრინავი გამოვალ!“
დავეთანხმეთ არჩევანში,
მხოლოდ მანამ გაიწაფლს
სამხრეების გარჩევანში.



საყვან და ჭანჭიკელა

მავალა მკაველილი

— ხიდს წავსდგენ ვისით! —
სეტყვის ღრუბელს შეფა...
ჭანჭიკელას ვისიკეთ:
— აკადილე სეტყვა!

იმ შავ ღრუბელს სედავ?
ნაბრძანს გავიქეფლავს!... —
...ცაბი განადა შელაღ
გბოთი ჭანჭიკელა.

ბუთქი ღრუბელს ბეთ,
ჩუღე აქით ვედა,
მზე ჰირს იბანს, ნახეთ,
გადიწმინდა შეკვა.

ჭანჭიკელა მთელი,
განაღებდა მთელი,
მადლე, ორ-სამ თვეში
განაღებდა რთელი.

მოიწყდა ხელი,
შევიწყდა ვედა,
დაკვიძმუნე ლხინი,
სეფის ჭანჭიკელა!

ნახატი ა. ხაშვილი

მ. მთავარაველი

უხნავი

ბებია კატოს მზე ყოველივის დაგებული
ჭკონდა თაგვიბასთვიის, ერთელ გათენისის
ბებო ბაფანგის დაჩაქუნებამ გამოაღობა.

აბა, გაბნი, მუზაგეო ტუნკუდავ?! — გაიფიქრა
მხოლცა და ისევ დააპირა დამინება.
მაგრამ მზეში გაბმული არ ცხრებოდა, ფე-
ხებს აფხაკუნებდა. ბებომ ბაფანგს ვადახედა და
სახტად დარჩა: მახეში გამოხეშო გაბმულიყო.
გვაბნეულ ღამის მონადირეს, ეტყობა, კარის
დავეტემდე მოუსწრო ოთახში შესვლა და იმ-
დენი იტუნა. სანამ ბაფანგში არ გავყო თავი.
ბაფანგი გომბეშოს რკინის ხაღტსავით შემოსუ-
ლობა წვლავ.

ბებომ სტუმრად მყოფი შვილიშვილი გა-
ღობა:



ლაქობი

ნახატი ა. ხაშვილი

ა. ლახინი

ზაფხულია, მწიფე პურებს
მზე ვეფხვით უტრებს.
— ჭახ! — იქნევენ ლაქობი
ლექურივით კულდებს.

სადაც საღმე სარია და
კენწეროა ხვთა,
ყანებში თუ ყანის პირზე
ლაქობი სვლან.

— ჭახ! — უღრენენ ხოჭო-ბუზებს,
— ჭახ! თქვენი გზა ნახეთ!
ყანებს ხელი არ შეახოთ! —
ფორთხილებენ მჭახედ.

შორს, მუხასთან რალღ განდა,
ვერ გაარხე კარგად,
ხან ირეგა, ხან ფარატებს —
პეგელაა აღბათ!

რა ხანია, რაც მარტყებიც
მოაკილეს ბუღეს.
— ჭახ! — იქნევენ ლაქობი
ლექურივით კულდებს.

აგერ, გრით მოსწყულა კობიტს,
იწვეს მალლა-მალლა,
მოზომა და პლანტრეით
ძირს ეშვება ახლა...

მაგრამ ახალბედა ღაფოს
შესვლა ფრთების გაშლი
და მამუაწვევრას თესლი
შერჩა ბეჭლის ნაცვლად.

დაუბრუნდა ისევ კობიტს,
დაიქვენილი დაჯდა.
— ჭახ! რა უშავს! ცხრა ცვირა
რაც ამ პეგენად განდა!

ამხნევებენ გამოცდილი
ლაქობი გაზრდილს!
წემი ხოჭო მიირთვია —
ყველა ერთხმად აწევის...

სადაც საღმე გავალი,
ახლომახლო, ციკრიდო,
შეგზარაან, ზედ კალია
დაუგათა მკერდით!

— ჭახ! — უღრენენ ხოჭო-ბუზებს,
— ჭახ! თქვენი გზა ნახეთ!
ყანებს ხელი არ შეახოთ! —
ფორთხილებენ მჭახედ...

...ნაოთხის ბერიკაცო:
ნდაგელოცოს ვაგრო,
წამოწყება ყანის პირზე,
წუთით წასთლემს ჩრდილში...

ნახავს: ვერცხლის ღაფობებს და
ოქროს პურებს ძილში.

იხნავი

— ბურკოა ნახე, როგორი თავგე დაუქვრია
ჩვენს ბაფანგს!

ბურამ როგორც კი ამ სანახაობას მოჰკრა
თვლი, ღღინინიდან წამოაღტა:

— ბებო, ბებო, როგორ უძლებს ბაფანგს
გომბეშო!

— ეს იმიტომ, შვილო, რომ გომბეშო
უწერემლოა და ბაფანგი რას ჩაუბრტყენს! კანი
კი საკმაოდ სქელი აქვს, რკინა ვერ გაუტრის. ახ-
და ავეშვებ, არაფერი არ მოუფიქრებ! იგი ხომ
ჩვენი ბოსტნის მეგობარია და ჭია-მარტლებს
მტერი! — თქვა ბებომ და ბაფანგი ობოში გაი-
ტანა.

ბურკომ საკუთარი ხელით გაანათვისუღდა
ბაფანგიდან უნდაური ტყვი, რომელიც სეჟა-სეჟ-
პით გაუღდა გზას.





„ეზო“. ნახტი ვანო ტოგონიძისა, 8 წლის. თბილისი.

„გოგონა“, მანანა არაბული, 11 წლის. თიანეთი. ➔

„ჩენი ოჯახი“, რედა პეტრაიტიძე, 7 წლის. ქუთაისი.






← „ჩიტები“, ნანო ხუ-
ციაშვილი, 8 წლის.
ქასპის რაიონი, სოფ.
ერთაწმინდა.



↑ „ცხენი“, გუჯა გვა-
ჯია, 4 წლის. თბი-
ლისი.



← „ხენა“, თემური ახ-
მეტელაშვილი, საბ.
ბალის აღსაზრდელი.
წნორი.



ჯვრის მონასტერი“,
აია დათეზაშვილი,
1 წლის, თბილისი.

617283

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



ნახატი შ. როინიშვილისა

ყდის მხატვრობა ეკუთვნის შ. გულუაშვილის

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კალენდარი: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მ. ყვავაძე, მ. მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ა. სიხარულიძე, ნ. უნაფიკოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)	ბავშვების ოცდაათობითხმობა წალი	ფანი 20 ქაბ.
ტექ. რედაქტორი ი. აბდოშვილი	რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ	

გამომცემლობა "ნაკადული", რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქაბი. 81, ტელ. 3-37-38. გამოცემა: წყვილ. № 241, სტამბის წყვილ. № 1883 ტირაჟი 21500 ხელმოწერისათვის დასაბამებლად 21/VIII 1961 წ.

ფინანსი დახმობა: საქართველოს საბავშვო ჟურნალის გამომცემლობა
 Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК АРСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров ш. В. И. Ленина
 № 8 август, 1961 г. Тбилиси, просп. Плеванова 91.